წმინდა სინოდის წევრების მისალოცი ადრესი უწმინდეს პატრიარქ კირილეს მიმართ სამღვდელთმთავრო ქიროტონიის 50 წლისთავთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 14.03.2026. *რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებმა* ***მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს სამღვდელთმთავრო*** *ქიროტონიის 50 წლისთავი მიულოცეს.*

დიდი მარხვის *ამ ღვთივკურთხეულ ნათელმოსილ ჟამს* (პირველი შვიდეულის ოთხშაბათის ცისკარი),

გულითადად გილოცავთ თქვენ, თქვენთვის მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს – სამღვდელთმთავრო ქიროტონიის 50 წლისთავს.

ნახევარი საუკუნის წინ, სულიერი ძრწოლვითა და იმის მხურვალე სურვილით, რომ მთლიანად მიგეძღვნათ თავი ქრისტე მაცხოვრის მსახურებისთვის, თქვენ წარმოთქვით დასადგინებელი აღსაარების სიტყვა. მას შემდეგ დღემდე მტკიცედ ინარჩუნებთ ერთგულებას ამ სამთღვდელთმთავრო ფიცისადმი და გულმოდგინედ ასრულებთ მიცემულ აღთქმას, იმის ცოდნით, რომ *თავად უფალი გეხმარებათ ჭეშმარიტ და გულმოდგინე მმართველობაში* (ეპისკოპოსად ხელთდასხმის წეს-განგებიდან).

დღევანდელ რთულ ვითარებაში, როდესაც კაცობრიობის მტერი თესავს განხეთქილებასა და მტრობას, როდესაც *გონებით დაბნელებულნი და გულით გასასტიკებულნი ხევენ ქრისტეს სამოსელს* (ლოცვიდან წმინდა რუსეთისთვის), მიცემული აღთქმის შესრულება ჭეშმარიტად აღსაარების ღვაწლია. ასეთ ვითარებაში *დაცვა და პყრობა საეკლესიო მშვიდობისა* (ეპისკოპოსად კურთხევის წეს-განგებიდან) შეუძლებელია ყოვლისმპყრობლის მტკიცე დახმარებისა და ღვთის ერისადმი თქვენი თავგანწირული სიყვარულის გარეშე, რაც აღგძრავთ თქვენ, მთელი ძალისხმევა მიმართოთ თქვენდამი რწმუნებულ მსახურებაზე. თქვენ თავდაუზოგავად შრომობთ იმისთვის, რომ *არ გამრავლდეს განხეთქილებები, ცრურწმენები და მწვალებლობები* (ეპისკოპოსად კურთხევის წეს-განგებიდან), რომ მართლმადიდებლობის მტრები შერცხვენილ იქნენ, ხოლო ეკლესიის ერთგული შვილები არ შფოთავდნენ და არ დრტვინავდნენ, არამედ ინარჩუნებდნენ სულიერ სიმშვიდეს და ერთაზროვნებას. მკაფიო სიტყვებითა და დამაჯერებელი საქმეებით თქვენ შთააგონებთ თანამედროვეებს, რომ *ერთსულოვნად იდგნენ და ერთობლივად იღვაწონ სახარების რწმენისთვის და ნურაფერში შეუკრთნენ წინააღმდგომთ* (ფილიპ. 1:27-28). გისმენენ და გიყურებენ რა მწყემსთმთავრები, მწყემსები, მონოზვნები და ერისკაცები, ცდილობენ, მოგბაძონ თქვენ რწმენის სიმყარეში, გამბედაობაში, სულის სიმტკიცეში, მონდომებასა და მიზანდასახულობაში.

თქვენ მოუდუნებელი ყურადღებით აკვირდებით ეკლესიური ცხოვრების განვითარებას ღვთის სხვადასხვა სამფლობელოში, მათ შორის, ძალიან შორეულ ადგილებშიც. თქვენ ახორციელებთ საწინამძღვრო ვიზიტებს ჩვენი ეკლესიის მრავალ ეპარქიაში, აკურთხებთ ახალ ტაძრებს, ხვდებით სასულიერო პირებს და საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მონაწილეობთ სამრევლო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიებში და ყველანაირ მხარდაჭერას უწევთ მათ გადაწყვეტაში. თქვენ ყველაფერს აკეთებთ იმისათვის, რომ დაიცვათ ეპისკოპოსად ხელთდასხმისას მიცემული აღთქმა, რომ *თქვენდამი რწმუნებულ სამწყსოს, მოციქულების წესისაებრ, მოინახულებთ და ზედმხედველობას გაუწევთ, თუ რამდენად ერთულნი რჩებიან რწმენაში და კეთილი საქმეების კეთებაში, განსაკუთრებით კი მღვდლები* (ეპისკოპოსად კურთხევის წეს-განგებიდან).

იცით რა, რომ მილიონობით ადამიანი გისმენთ, თქვენ დიდი პასუხისმგებლობის სრული გაცნობიერებით ქადაგებთ და მთელი გაბედულებით წარმოთქამთ ღვთის სიტყვას (საქ. 4:29), მიმართავთ მას არა მხოლოდ მათკენ, ვინც ქრისტეს ენდობა, არამედ მათკენაც, ვისაც ჯერ არ მიუღია ქრისტე თავის გულში. თქვენ მნიშვნელოვან ძალისხმევას ახმართ იმის უზრუნველყოფას, რომ ჩვენს ხალხში *იზრდებოდეს რწმენა და მრავლდებოდეს ერთმანეთის მიმართ სიყვარული* (2 თეს. 1:3), რათა ჩვენმა თანამედროვეებმა გააცნობიერონ, რომ ღმერთმა გვიბოძა *საუკუნო სიცოცხლე და ეს სიცოცხლე მის ძეშია* (1 ინ. 5:11).

სასიხარულოა, რომ ამჟამდ დგას კურთხეული დრო, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება მხარს უჭერს ეკლესიის ინიციატივებს და მასთან თანამშრომლობით ახორციელებს საქმიანობას ჩვენი ხალხისთვის ტრადიციული სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად. ეს კეთილი და ნაყოფიერი თანამშრომლობა ეკლესიისა და სახელმწიფოსი, დიდწილად თქვენი ძალისხმევის წყალობით გახდა შესაძლებელი. ღმერთმა ინებოს, რომ ასე გაგრძელდეს მომავალშიც.

თქვენთვის ამ სულიერად მნიშვნელოვან და მთელი ეკლესიის სისავსისთვის საზეიმო დღეს, ლოცვით გისურვებთ თქვენი სულიერი და ფიზიკური ძალების განახლებას და განმტკიცებას, სულის სიმხნევეს და ყოვლისმპყრობლის მოუკლებელ შეწევნას თქვენს მაღალ და საპასუხისმგებლო პატრიარქალურ მსახურებაში.

მრავალი კურთხეული წელი გქონოდეთ, თქვენო უწმინდესობავ!

ისპოლა ეტი დესპოტა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები

მოსკოვი, 2026 წლის 14 მარტი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/94090/